აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის
განკარგულება №25/2004

1 ივნისი 2004 წელი ქ.ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი და საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის სამუშაო დღის ხანგრძლივობის განსაზღვრის თაობაზე

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ'' კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის ''დ'' ქვეპუნქტის შესაბამისად ვადგენ:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი და საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის 2004 წლის პირველ და ორ ივნისს სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვროს 22 საათამდე.

მუხლი 2. დაევალოს უსკოს ეკონომიკურ სამსახურს, აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის შესაბამისად მოახდინოს კომისიის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება.

მუხლი 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ა.ა.რ. უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) ხელმოწერიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა